№ 03.16.

ახალი მართალი

იუმორისტული ჟურნალი

№ 2

ფასი 10 კაპ. ქვირა, 8 მარტი 1915 წ.

ბრძოლა თფილისის ქალაქის გამგეობისა მოარულ სენთან.

ალექსანდრე ივანიჩი. პაჟალუსტა, ალექსანდრ მიხაილოვიჩ, ეგ მაყალი ცოტა იქით მისწი, ლამის ჩვენც გამოვიხრჩვეთ.

სტუდენტის ნაამბობი

ა. ბელურები.

მატარებლის ბილეთი და უკანასკნელი შვიდი კაპეიკი ჯიბეში ჩავიდე და ვაგონისაკენ წავედი მწარე ფიქრებში გართული.

ის იყო უნდა შევსულიყავი, რომ ვაგონის კიბეზე ორი ბელურა-ჩიტი ახტა რიგ-რიგობით და დაიმალა.

ხუმრობის გუნებაზე რომ არ ვიქნებოდი იმ წუთში, ამას თქვენც დამიჯერებთ, როცა ჩემს გარემოებას შეიტყობთ, და ის ორი ფეხი, ქალის კოხტა ფეხები, ისე პაწაწკინები იყვენ და ისე მარდათ აირბინეს საფეხურები, რომ, გეფიცებით, პირველ შეხედვით მე მართლა ბელურები მეგონენ.

ალბათ თქვენც გაგიგონიათ: ბუნების მეტყველ სწავლულთათვის საკმაო რომლისამე გადაშენებულ ცხოველის თუნდ ერთი ძვალი იპოვნონ, ვსთქვათ, კიმკიმა ან კოჭი, რომ ამ ერთ ძვლის მიხედვით იმ გადაშენებულ ცხოველის სრული ჩონჩხი და აგებულობა ააშენონ.

მეც სწორეთ იმ სწავლულებს ვგევარ; განსხვავება ის არის, რომ სწავლულები, როგორც ვიცი, კარგა ხანს უნდებიან კიმკიმის მიხედვით ჩონჩხის აგებას, მე კი ერთის შეხედვით ვასწრებ: აი, თუნდ ახლაც. .

დავრწმუნდი თუ არა, რომ ის ორი ბელურა მართლა ბელურები კი არა, არამედ ფეხები იყვენ, იმ წუთშივე თვალწინ დამიდგა თავით ფეხამდე თვით პატრონი ბელურებისა.

ჩემის წარმოდგენით, ე. ი. თანახმათ ფეხების მოხაზულობისა და ჩემ მეცნიერულ ალღოსი, ის უნდა ყოფილიყო შუა ტანისაზე ოდნავ მაღალი, ქერა, ლურჯ-თვალა ქალი, ვერცხლის წყალივით ცქრიალა, ბავშვივით ცელქი და ქალივით ცბიერი. აქედანვე დარწმუნებით ვიცოდი, რომ იმ ქალს სიცილის დროს ლოყები მაცდურათ უნდა ჩაღრმავებოდა ხოლმე და ისიც ვიცოდი — ყელზე, ზედ მკერდის საზღვართან, მარცხნით, უთუოთ პატარა ბუზის ტოლა ხალი უნდა ჰქონოდა.

ჩემი მეცნიერული გამოკვლევა გამართლდა, და ვაგონში სწორეთ ისეთი გარეგნობის ქალი დამხვდა, მე რომ მოველოდი.

მხოლოდ ერთ რამეში შევცდი: ხალი მარცხნით კი არა, მარჯვნით აღმოაჩნდა ყელზე.

— უკაცრავათ, ქალბატონო! ეს ადგილი თავისუფალია? ზრდილობიანათ ვკითხე მე და მის პირდაპირ ადგილზე მივუთითე.

— არ ვიცი, სწორეთ! მგონი! მოკლედ მომიჭრა მან ისე, რომ არც კი შემომხედა.

დავჯექი. დასაწყისი არ მომეწონაადა კვალავ ჩემს შავ ფიქრებს დავუბრუნდი: ჩაი, შაქარი, სადილი... ყველაზე უფრო კი სესხები, სესხები! ღმერთმა დალახვროს ის რუსის დედაკაცი: ვერავითარმა ხვეწნა-ვედრებამ მასთან ვერ გასჭრა! ერთი წყვილი საცვალი მაინც დაეტოვებინა, მხოლოდ ერთი წყვილი!.. არა, ეს ფიქრები სწორედ ჭკუაზე შემშლის! როგორმე უნდა თავი დავახწიო. საქმეს ხომ მაინც ვერაფერს ვუშველი!

მატარებელი დაიძრა.

ცალის თვალით იმ ქალისკენ გავიხედე და სწორეთ იმ დროს დავიჯერე, ჩემკენ რომ იცქირებოდა. ოჰო! ეს კარგია! მაშ კიდევ ვცადოთ:

— უკაცრავათ, ქალბატონო: მე ცოტა ხნით მეორე ვაგონში უნდა გავიდე, იქ ნაცნობი ზის და; თუ თქვენთვის საძნელო არ იქნება, ხანდახან გაჰხედეთ ხოლმე აი იმ ნივთებს, არავინ წაიღოს, ვთხოვე მე და ვიღაცის ნივთები ვანიშნე თაროზე.

— თქვენ შეგიძლიათ, თუ გნებავთ, სულაც დარჩეთ თქვენს ნაცნობთან: სიტყვას გაძლევთ, რომ მე ამ ნივთებს თვალს არ მოვაშორებ, ეშმაკურის ღიმილით მიპასუხა ქალმა.

— გმადლობთ, ჩავილუღლუღე მე, რადგან ვიგრძენი, რომ რაღაც მახეში გავები.

— არც მადლობისათვის შეგაწუხებთ, რადგან ეს ნივთები ჩემი გახლავს, სთქვა ქალმა, გადიხარხარა და ლოყები მაცდურად ჩაუღრმავდა.

— ვაი შენს გიორგის, გავიფიქრე მე გიორგი მქვიან : ეს რა სისულელე მომივიდა!.. მაგრამ განა სულ ერთი არ არის? საქმე ქალის გაცნობაა და მეც ხომ გავიცანი... უნდა გამოვაკეთო მდგომარეობა!

— მერე ვინ გედავებათ, ბატონო! განა მე კი არ ვიცი, რომ თქვენია? სწორეთ იმიტომ მოგახსენებდით, თვალყური გეჭირა-მეთქი, თორემ ჩემი რომ ყოფილიყო გავბედავდი თქვენს შეწუხებას?

— ოჰო! თქვენ ენა-მახვილ ყმაწვილსა ჰგევხართ, ღიმილით მითხრა ქალმა.

— თქვენ კი ანგელოზს! აღარ ჩამოვრჩი მეც.

ამ სიტყვებზე ქალი გაწითლდა, ფანჯარისაკენ მიიბრუნა პირი და სივრცეში ცქერა დაიწყო.

ტელეგრაფის მავთულზე ორი ბელურა იჯდა. მატარებელი რომ დაუპირდაპირდა, ერთმა მათგანმა შეიფრთხიალა და გაფრინდა.

—შეამჩნიეთ, ქალბატონო, რა უეცრათ გაფრინდა ჩიტი? შეჰკივლა კიდეც გაფრენისას! როგორ გგონიათ, რამ შეაშფოთა ეგრე? აღარ მოვეშვი მე, რაკი ერთხელვე სალაპარაკოთ გამოვიწვიე.

—რა მოგახსენოთ, ალბათ... თუ შეეშინდა და მიტომ გაფრინდა.

—არა, თქვენ ვერ მიხვდით!

- მაშ რათა?

- რათა და მავთულმა საშინელი შინაარსის დეპეშა გაატარა მის კლანჭებში.

—რასა ბრძანებთ! საბრალო! ირონიულის მოწყენით წარმოსთქვა ქალმა.

- დიახ, დიახ! სწორეთ!

—მერე რა შინაარსის იყო დეპეშა?

—„თქვენი ქმარი მოკვდა. დაუყოვნებლივ გამოემგზავრეთ". თავზარდაცემულმა ბელურამ შეჰკივლა და გაფრინდა.

—მეორე ჩიტი რატომ-ღა არ გაფრინდა? ღიმილით ჩამეძია ქალი.

—იმიტომ, რომ სხვა მავთულზე იჯდა.

—სტყუით, სტყუით! მე დავინახე, იმავ მავთულზე იჯდა. . ღმერთანი!

—მაშ ის უგულო ქმნილება ყოფილა, ან კიდევ ცოლ-ქმრობა გამოუცდია და უფრო საღი უყურებს შეუღლის გარდაცვალებას..

საქმე გაიჩარხა.

შემდეგი მუსა ფი ვაგონის ბაქანზე განვაგრძეთ: მე, რაღაც ბედზე, ოხუნჯობის გუნებაზე დავდექი და ჩემ მშვენიერ ნაცნობის კისკისს საზღვარი არ ჰქონდა.

მისთვის გამოირკვა, რომ მე საზაფხულოთ სახლში წასვლას აქ დაჩენა ვარჩიე სამაცადნიოთ და, რათა უფრო მუყაითად მემუშავნა, ქალაქიდან საგარაკოთ გამოვედი, ბუნების წიაღში. რაც შეეხება ჩემს ფინანსიურ მდგომარეობას, ჩაისა და შაქრის უქონლობას და იმ გარემოებას კიდევ, რომ საძაგელ მრეცხავ დედაკაცისთვის 4 მანათ ნახევარი ვერ მიმიცია საცვლების დასასხნელათ და ამის გამო სამი კვირაა საცვალი არ გამომიცვლია—ეს ინტიმიური ზხარე ჩემი ცხოვრებისა, რა თქმა უნდა, დავუმალე.

ჩემთვის კი გამოირკვა, რომ ჩემი ახალი ნაცნობი მოსწავლე ქალი ყოფილა, კურსების მსმენელი, ეგზამენები ჩაუბარებია და ახლა შინ მიდის, და რაც ყველაზე საინტერესო და სასიამოვნოა, სწორეთ იმ სოფლელი ყოფილა, საცა მე საგარაკოთა ვარ; ეს კიდევ არ კმარა: სწორეთ ჩემ სახლის გვერდით მდგარა და ჩვენი ფანჯრები ერთმანერთს თურმე გასცქერიან.

მატარებელი რომ გაჩერდა ჩვენ სადგურთან, ნივთების გადმოტანა ვუშველე და დავემშვიდობე, რადგან მას დედა და ნათესავები ელოდენ სადგურზე და იმათ უნდა გაჰყოლოდა.

ნახევრად შეყვარებული გავშორდი ჩემს ახალ ნაცნობს და დარწმუნებული ვიყავი, რომ მასაც არა ნაკლები გრძნობა გაუღვივდა ჩემ მიმართ.

ღამდებოდა.

ბ. პროფესორი მანტეგაცა

მხოლოდ შუაგზაზე შევნიშნე, რომ ჩემი ნაცნობის წიგნი წამომეღო თან: ნივთების გადმოტანას რომ ვშველოდი, დამვიწყებოდა და აღარ ჩამებარებინა...

ოჰ, სიყვარულო, ძალავ ღვთიურო! როგორ გამახარა იმ წიგნმა! ეს ხომ იმისი ნივთია! ის კითხულობდა, მრავალჯერ ხელი მოუკიდია, გადაუფურცლავს!

დამავიწყდა ჩემი 7 კაპეიკიც, უშაქრობა, უჩაობა და თვით მრეცხავი ქალიც!

ნაბიჯს მოვუჩქარე და რამდენიმე წუთში ჩემს ოთახში გავჩნდი.

ის იყო წიგნის გადაშლა მინდოდა, რომ კარები გაიღო და მოახლე შემოვიდა:

—ბატონო, ის დედაკაცი იყო კიდევ!

—მერე? საცვლები გამოართვით?

—როგორ უნდა გამომერთმია... ოთხ მანეთ ნახევარი მართებს ჩემიო და სანამ არ გადამიხდის, დარ ავუბრუნებო... თან წაიღო!

ეს მეხუთჯერ მოაქვს იმ უნამუსოს საცვლები, წამომაჩვენებს, თითქო გაღიზიანება უნდაო, და თანვე წაიღებს ხოლმე.

—ჰო, კარგი. თქვენ საჭირო აღარა ხართ. შეგიძლიათ წახვიდეთ.

მადლობა ღმერთს! ძლივს მარტო დავრჩი! მივარდი წიგნს და გადავშალე:

—პროფესორი მანტეგაცა. „შრომა და კაპიტალი".

დახეთ, რა წიგნებს კითხულობს! ერთმა აზრმა გამიელვა: ეს წიგნი კარგი საბაბია, მოდი, ეხლავე წერილს გავგზავნი, შევატყობინებ, რომ წიგნი ჩემთან არის და თან ვსთხოვ, ხვალ დილამდე ჩემთანვე დარჩეს მეთქი.

დავჯექი და დავსწერე:

მისს მაღალ-კეკლუცობას ქ-ნ ტატიანა ევგრაფის ასულს.

ანგელოზის ძირის პირდაპირ მცხოვრების, სტუდენტის გიორგი მაკრატელიძის

თხოვნა

ვინაიდან ჩემზე საშინლათ მოქმედობს მატარებელი, როცა ვაგონში ლამაზ ქალს ვესაუბრები: თავბრუ მეხვევა ხოლმე და თვალები მიბნელდება, და ვინაიდან დღეს სწორეთ მატარებლით მგზავრობა შემხვდა, ამის გამო მხოლოდ შინ რომ დავბრუნდი, მაშინ შევამჩნიე, რომ თქვენი წიგნი, პროფ. მანტეგაცცას „შრომა და კაპიტალი“ გამომყოლია. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო მაღალ-კეკლუცობავ, კეთილ ინებოთ და ხსენებული წიგნი ხვალ დილამდე მათხოვოთ.

გიორგი მაკრატელიძე

ეს წერილი მოახლის ხელით გავგზავნე, თითონ კი წიგნს მივუჯექი. გადავშალე რამდენიმე ფურცელი და ჩემი ყურადღება შემდეგმა ხაზგასმულმა ფრაზამ მიიქცია:

— **„შრომა ზნეობის ქვაკუთხედია და უაღრესი სიტკბოებაა ცხოვრებაში“.**

აი უდიდესი ჭეშმარიტება, მოკლეთ და მარტივათ გამოთქმული! სწორედ გენიოსი უნდა იყო, რომ ასე უბრალოთ ასე ღრმა აზრი გამოსთქვა!

არა, ჩემ ტატიანასაც რომ ხაზი გაუსვამს! აი, სად დაიჭირე ჩვენი სოციალისტები, რომელნიც 8 საათის სამუშაო დღეს მოითხოვენ მუშებისათვის და მაშასადამე, ზნეობის ქვაკუთხედსაც აღლვევენ და უაღრეს სიტკბოებასაც ართმევენ მუშა ხალხს. დიახ! შრომა უაღრესი სიტკოება და ზნეობის ქვაკუთხედია და, რაც მეტს შრომობს მუშა, მით მეტი ზნეობა აქვს და მეტ სიტკბოებას განიცდის, ხოლო ვინც სამუშაო დღის შემცირებას მოითხოვს, ის უზნეო და გარყვნილია!

არა, ეს წიგნი უთუოდ უნდა შევიძინო და საქართველოში წავიღო, რათა დავანახვო ჩვენს სოციალ...

ისე გავერთე ამ მშვენიერ წიგნისაგან გამოწვეულ ფიქრებში, რომ ვერც კი შევამჩნიე ოთახში შემოსული მოახლე.

— აი, ბატონო, პასუხი გამოგიგზავნათ.

— მოიტა, ჩქარა!

კონვერტი გავხიე და წავიკითხე:

„წიგნი პირადათ უნდა ჩამაბაროთ ხვალ, დილის შვიდ საათზე ამ ქუჩის ბოლოში. ტატიანა პოტროხოვა“. P. S. იმედი მაქვს, აქ, აგარაკზე, აგარაკულათ ცხოვრობთ და 6 საათზე დგებით ხოლმე. ტ. პ.“.

— ვაშა!

ეს „ვაშა“ ისე დავიყვირე სიხარულისაგან, რომ მოახლე შეკრთა და კარებისაკენ დაიხია.

— გრუშა! მივუბრუნდი მოახლეს: თქვენ იცით, რომ შრომა ზნეობის ქვა-კუთხედი და უაღრესი სიტკბოებაა?

— მე თქვენი ლაპარაკი არ მესმის, ბატონო!.. ჩექმებისა და ტანისამოსის დერეფანში გამოტანა არ დაგავიწყდესთ, თორემ კიდევ გამიჯავრდებით, რატომ არ გამიწმინდეო... სამოვარი მოგართვათ?

— მოიცა, მოიცა გრუშა!

მოახლე კარებში გაჩერდა.

მანტეგაცცას გენიოსური სიტყვების გავლენით თავში გენიოსურმა აზრმა გამირბინა ელვის სისწრაფით: ამაღამ ჩემი საცვლები, რომელიც ამ წუთში ტანთ მაცვია მევე უნდა გავრეცხო, ჩემის ხელით. ვინ იცის, ხვალ დილით ჩემმა ტანიჩკამ პერანგის წვირიანი სახელოები შეამჩნიოს, ხომ მომეჭრა თავი. ესეც არ იყოს «შრომა ხომ უაღრესი სიტკბოებაა» და...

— გრუშა, ერთი სამსახური უნდა გამიწიოთ.

— ბრძანეთ, ბატონო.

— იცით, გრუშა: მე ცოტა ავათა ვარ და ექიმმა ნელთბილი აბანო გამომიწერა. შემომიტანეთ სამოვარი, სამი ვედრა ცივი წყალი და ერთი დიდი ტაშტი, თუ გაქვთ.

— ბატონი ბრძანდებით!

— აბა მალე, ჩემო გრუშა!

რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩემი ბრძანება შესრულებული იყო.

გავიდა თუ არა მოახლე, დავხურე ფანჯარის დარაბები, გავიხადე ტანთ, ტანისამოსი და ჩექმები დერეფანში გავიტანე, დავკეტე კარი, გავიხადე საცვლებიც და საქმეს შევუდექი, თავით ფეხამდე ტიტლიკანა.

არა, სად გაჩნდა ამოდენა ენერგია და საქმის ცოდნა! ისე მარდათ და მუყაითათ ვრეცხავდი, რომ ვისმეს ვენახე — პროფესიონალური მრეცხავი ვეგონებოდი.

მუშაობის დროს განუწყვეტლივ ჩემი ტანიჩკა მედგა თვალწინ და ხვალდილის პაემანზე ვფიქრობდი აღტაცებით, ხოლო საქმის გათავებისას ისეთი სიამოვნება და სულიერი კმაყოფილება განვიცადე,

რომ თითქმის თვალნათლათ დავინახე შუბლ მაღალი და გრძელ წვერა პროფესორი მანტეგაცცა და გავიგონე მისი სიტყვები:

—დიახ, ყმაწვილო კაცო, შრომა ზნეობის ქვაკუთხედია და უაღრესი სიტკბოება გახლავთ ადამიანისთვის.

—ოჰ, გმადლობთ, გმადლობთ ორივევ: შენც, ჩემო ნაზო ანგელოზო და შენც ბრძენო მოხუცო, და ორთავეს წინაშე მუხლს ვიდრეკ მოწიწებით.

გარეცხილი საცვლები რომ გავწურე სრული, უაღამე იყო. გავაღე ფანჯარა, გადავფინე კოხტათ, ჩემი საცვლები, ერთი-ორი ამბორო გავუგზავნე ტანიას, მოვხურე ფანჯარა და დავწექი.

რაც დავიბადე, მას აქეთ მძინავს ხოლმე ღამღამობით, მაგრამ ჩემს დღეში არ მახსოვს იმ ღამინდელივით ტკბილი ძილი.

ძილში სულ მანტეგაცცა და ჩემი ლამაზი მეზობელი მესიზმრებოდენ: მოხუც მანტეგაცცას დინჯათ მოჰყავს ჩემკენ დედოფალივით მოკაზმული ტატიანა, მაბარებს ხელში და მეუბნება:

—ყმავილო კაცო: გახსოვდეს, რომ შრომა ზნეობის ქვაკუთხედია და უაღრესი სიტკბოებაა ქვეყანაზე!...

გ. მარსელიეზი

ალბათ იმ გუნებაზე მერცხალი თუ იღვიძებს გაზაფხულზე, როცა ბუდე ახლად დამთავრაბული აქვს, მე რომ გუნებაზე მეორე დილით გამეღვიძა.

გამეღვიძა თუ არა, ეზოში ბავშვების ჟრიალი და სიმღერა მომესმა.

—ოჰ, როგორ მიყვარს ბავშვი! რა ბედნიერი ვარ, რომ ამ ეზოში ოცამდის ბავშვი იკრიბება და თამაშობენ! მე ისინი «შავ სტუდენტს» მეძახიან, და ვგრძნობ, ვუყვარვარ... ოჰო! მეშვიდე საათია! უნდა საჩქაროთ ტანთ ჩავიცვა, რომ პაემანზე არ დავაგვიინო. მაგონდება ჩემი საცვლები, ლოგინიდან ვხტები და სიამოვნეფის ღიმილით ფანჯრისკენ მივდივარ.

ჩუ! ბავშვები, მგონი მარსელიეზას მღერიან! ჰო, სწორეთ მარსელიეზაა!...

—ტრა ტაა-ტა, ტაა-ტა-ტა, ტა-ტა-ტაა-ატა-ტა!.. ვაყოლებ მეც ხმას და პერანგი გადმომაქვს ისე, რომ ფანჯარა არ გაიღოს და მეორე საცვალი არ გადავარდეს. კარგია! პერანგი გამშრალა კიდეც! მაშ ისიც მშრალი იქნება... აბა ვნახოთ!..

რაღაცამ დამკრა თავის კეფაში, დამიარა ხერხემალში, ჩავიდა კოჭებში და იქვე ჩამკეცა იატაკზე, ფანჯარასთან. თვალთ დამიბნელდა და გონება ამერია:

ის მეორე საცვალი, იქ აღარ იყო!..

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ისე ჩაკეცილი. გამოვერკვიე მაშინ, როცა ბავშვების სიმღერა მოახლოვდა და ჩემს ოთახთან ისმოდა.

მოიცა-მოიცა! მარსელიეზას კი იმღერიან, მაგრამ ე რა სიტყვებს ამბობენ? რაღაც „შავ სტუდენტს“ ახსენებენ. ძალა უნებურათ... დავუგდე ყური და მე რომ გავიგონე. ჩემმა მტერმა და ორგულმა გაიგონოს:

- შა-ვიი სტუ-დეენ-ტი-სა-ცვაა-ლი... ცივი ცივი ოფლით გამეღვარა მთელი ტიტველა ტანი.

ნუ თუ? გავიფიქრე მე და წამოვდექი ფანჯარაში გადასახედათ.

ჩემი ფიქრი გამართლდა! ერთს იმ სალახანათაგანს ხელში ეჭირა გრძელი ჯოხზე წამოგებული ჩემი საცვალი და დროშასაებ აფრიალებდა, დანარჩენი არამზადები, ასე 25-ზდე იქნებოდენ, უკან მისდევდენ მწყობრათ და გაჰკივოდენ მარსელიოზის ხმაზე:

—შავი სტუდენტის...

არა, ხომ დავიღუპე ეხლა! ხომ მოედო მთელს აგარაკს ეს ამბავი! ხომ ჩასწვდა ყურში იმასაც, ჩემს გუშინდელ ნაცნობ ქალს, რომლის წინაშე ამ ნახევარ საათის შემდეგ უნდა წავრსდგე...

რატომ თვალები არ დამიბრმავდა, როცა იმ საზიზღარ მანტეგაცცას წიგნში ჩაიხედე.

რატომ მიწა არ გაუსკდა თვით იმ გამოყრუებულ პროფესორს, როცა მის სულელურ „შრომასა და კაპიტალს“ სწერდა!

არა, სასოს წარკვეთა არ ვარგა. მე ისეთთაგანი არა ვარ, რომ ამ სულელურმა შემთხვევამ დამცეს სულიერათ. უნდა გამოკეთდეს საქმე და ჩემი დულცინეა დანიშნულ დროზე ვნახო!

საჩქაროთ ვიცვამ ჩემ პერანგს, ვაღებ დაკეტილ კარებს, ვწვები ლოგინში და ვყვირი:

—გრუშა!

მოახლე შემოდის.

გრუშა, მომიტანთ ტანისამოსი და ჩექმები!

შემოაქვს.

—ეს ტუჟურკა, ეს ჩექმები, შარვალი სადღაა, გრუშა?

იჭვიანის ხმით ვეკითხები მოახლეს, რადგან შარვალს ვერ ვამჩნევ შემოტანილ ნივთებში.

—შარვალი, ბატონო, გაგხევიათ უკან... მინდოდა მე თითონ მომეკერა, მაგრამ ვერ გავბედე და თერძს წავუღე...

— როგორ? არეული ხმით ვეკითხები მე.

— ეხლა მზათ იქნება, ბატონო... მიბოძეთ ხუთი შაური და ამ წუთში მოგირბენინებთ!

სიტყვა ყელში მეჩრება, ენის მობრუნება ვეღარ მომიხერხებია, მეორე გვერდზე ვბრუნდები ტირილს ვაპირებ...

— რა მოგივიდათ, ბატონო, თანაგრძნობით მკითხავს მოახლე: ავათ ხომ არ ბრძანდებით?

სჩანს, ამან ჯერ ჩემი გაჭირვების არა იცისრა.

— ჰო, გრუშა, ავათა ვარ, ძლივს ვლუღლუღებ ხრინწიანის ხმით.

— გრილმა აბანომ თუ გაწყინათ.

— მეც ეგრე მგონია.

მოახლე გადის.

მარსელიეზა ახლა ქუჩიდან მოისმის.

ახლა კი დავიღუპე! „იმას“ ვინღა ჩიოდა, შარვალი არ დამკარგოდა! ღმერთო ჩემო, შვიდის შესრულებას 8 წუთი აკლია!

სასოწარკვეთილებისაგან გაგიჟებული ლოგინიდან წამოვარდები და პერანგის ამარა ოთახში დავრბივარ უაზროთ.

ფეხის ხმა მესმის და ისევ ლოგინში ვწვები.

კიდევ მოახლე. რაღასაც იღიმება.

— რას იცინით, გრუშა?

მხოლოდ ეხლა ვამჩნევ, რომ ხელები უკან აქვს დამალული, რაღაც უნდა ეჩიროს.

მარსელიეზის ხმა აღარ ისმის.

თავში სისხლი მივარდება.

— ბატონო, თქვენ არაფერი დაგიკარგავთ?

— გაეთრიეთ აქედგან! საშინელი ხმით ვბღავი მე;

გოგოს ხელში ჩემი საცვალი და რაღაც ქაღალდის ნაკუწი გაუვარდება და თითონ შეშინებული გარბის.

ღონე მიხდილი ჩამოვდივარ ლოგინიდან, ვიღებ იმ ქაღალდს და ვკითხულობ:

„გიგზავნი თქვენს ნივთს, გთხოვთ ჩემი ნივთი გამომიგზავნოთ. ტ. პ.“

თავში რაღაც აურ-ზაური ხდება, თითქოს ორკესტრი უკრავს, შიგ, თვალწინ რაღაც ფიგურები ხტიან, ერთი მათგანი მანტეგაცცა უნდა იყოს, მეორე კი ჩემი საცვალი... უეცრივ მანტეგაცცა თვალებში ქუსლს დამარტყამს და გონება მეკარგება...

თაგუნა



შარადა.

მე არ მსურს დიდხანს ვაწვალო
თქვენი აზრი და გონება,
თორემ, შარადა ძნელზედაც
უძნელო მომეგონება.

მონახეთ სიტყვა, რომელიც
გაზაფხულისა ხატია,
იზიდავს თვალსა კაცისას,
ვით რკინას ანდამატია.

მას მიუმატეთ მეორე
ორ მარცვლოვანი სახელი.
(რითაც სულდგმულობს ქვეყანა
თავადიშვილი კახელი.)

დასასრულ ერთიც დასძინეთ,
მინდვრის ყვავილი ნაზია,
ადრე გაზაფხულს იშლება
შეხედეთ რა ლამაზია!!!

და უკვე მთელი საგანი
აეწყო საუცხოოთა.
უფლება არ გვაქვს ჩვენ, იგი
სხვისაგან მოვითხოვოთა.

თვითეულს ჩვენგანს ღუოოდ
თან დასდევს განუყრელათა,
კაცი მოკვდება, ის კი აქ
დარჩება უეჭველათა.

ზოგი მას ჩუმათ ატარებს,
ზოგი კი გულახდილათა,
მაგრამ ყოველთვის ისჯება,
ვინც არ ეპყრობა ფრთხილათა.

თუ დაუფიქრდით, ახსნიდით
ძნელი აქ არაფერია.
ეგზომ ადვილი საცნობი
ჯერ არც კი დამიწერია.

კოლო.

საამდროვო.

ამ ახლო ხანში ერთი მოკვდი. თუმცა, მე რომ ზოგიერთების ამბავი ვიცი, ამას არ დამიჯერებენ. კაცმა რომ სთქვას ძნელი დასაჯერებელიც არის: ჯერ სიკვდილი... მერე გაცოცხლება... ან კი აქ რაა დაუჯერებელი? მარტო ჩემს თავზე ხომ არ არის ასეთი შემთხვევა. ალიშაჰი ორჯელ მოკვდა და გაცოცხლდა; კუროკი—იაპონიის, ერთი უდიდეს სარდალთაგანი, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ცხრაჯერ მოკლეს ხელჩართულ ომში, ერთხელ თავიც კი გააგდებინეს, მარა გაცოცხლდა. ჰო, და, მოკვდი, მარა გავცოცხლდი კი. აქ გასაკვირი არა არის რა. სიკვდილ სიცოცხლის შესახებ ამაზე უკეთესი გასაკვირი ვიცი: ჩვენში, და წარმოიდგინეთ თფილისშიაც, ბათუმში, ქუთაისში და სხვ... არიან კვდრები, ე. ი. უსულო ლეშნი, მარა ცოცხლობენ,—დაიარებიან, დიდ ჯამაგირებს იღებენ, უზომო და გამავლობიანი მოაშიყენი არიან, ჭამენ, სვამენ, საზოგადოებაში გამოდიან და ცოცხლებზე მეტად ყოყოჩობენ, თუმცა სული ამათ დიდი ხანია უკვე გაშორებია და კვდართა რიცხვი ჩასათვალნი არიან.

დიახ, მოკვდი მარა ახლა ცოცხალი ვარ, და, თუ არ დამიჯერებთ შეგიძლიათ დღესვე მობრძანდეთ ჩემს სამზარეულოში და თქვენის ლამაზი თვალებით ნახავთ, რომ ჩემს კერძ სადილსაც ამზადებენ, თუ, რომ ვინმე თომასავით კიდევ გაჯიუტდება და ჩემს ცოცხლობაში ეჭვს შემოიტანს, მეტი გზა არ დამრჩენია, უნდა წერილობითი საბუთს მივმართო. მაქვს პასპორტი, რომელიც ყოველთვის და ყველგად სათანადო ადგილზე დაასაბუთებს ჩემს სიცოცხლეს, ვინაიდან მე იქ ცოცხლად ვსწერივარ. ერთი სიტყვით ავდექი მკერდითით, ან კი ადგომას ვინ დამიშლიდა? არსად დაზღვეული არ ვყოფილვარ, რომ »სტრახის« ეშხით გაბრუებულ ცოლშვილს ჩემი საფლავი დაეჯორგა და იქიდან ადარ ამოვეშვი. მართალია ის ადგომა უმიწისძვროთ და კრეტსაბმელის გაურღვევლად მოხდა და ერთი ურწმუნო თომა ნაცნობთა შორის მეც აღმომიჩნდა, მაგრამ როდესაც სიკვდილს მიზეზზე, გამხმარ კუჭზე იგი ხელით დამეხო, დარწმუნდა, რომ მე »მე« ვიყავი.

დიახ ცოცხალი გახლავარ, თუმცა სიცოცხლის ნებართვა ჯერ არ ამიღია. მართალია ქართველი მეცნიერის ფ. გ. მიერ მოცემული ნებართვით მე, როგორც ქართველს, ნება მაქვს, ადამ და ევას მსგავსად ვიცხოვრო და ვეპატრონო ქვეყანას, მარა ჩემი უბედურებაც ის არის, რომ არ ვიცი ქართველთა სიაში ჩავირიცხები, თუ არა. როგორც ვატყობ არა, ვინაიდან მე არც სამშობლო ჩამომირუჯავს და არც თბილი ადგილი მჭერია სამსახურში.

ა. ბლიკვაძე

ოლიმპიელი.

ღვინისა ღმერთი,
დიდი ბახუსი
იჯდა მწუხარე ოლიმპის მთასა
და ათასიოდ
(უშინაარსო)
არაყის ბოთლი ეხვია გარსა.

იჯდა და მწარე
ფიქრს მისცემოდა
მოდუნებული, სასო მიხდილი,
(თითქო საოლქო,
სასამართლოდან
სამი წლის ციხე ჰქონდა მისჯილი.)
მაგრამ ვინა სცნას
რაზე ფიქრობდა...
რა სადარდელი უღრღნიდა გულსა..
აწმყოთი იყო
განაწყენები,
თუ დასტიროდა დროს გარდასულსა?
დიახ, ვინა სცნას...
მაგრამ ცხადია
დიდს გასაჭირში იყო ბედშავი
და კაეშანით
დანამძიმები
მარჯვენა მკლავზე დაეყრდნო თავი.



დაბლა კი. (სოფლათ)
როგორც წესია
ცხოვრება სდუღდა და გადმო! დუღდა.
სიუხვით იყო
მიწის დოვლათი,
შიმშილისაგან არავინ სწუხდა.
  არ ქონდთა მხოლოდ
მწყობრი ცხოვრება,
სიმხიარულე, წესი და რიგი...
(ვინც უფრო მეტათ
გასუქდებოდა,
ჭკუიან კაცათ მიაჩნდათ იგი.)
მაგრამ მობეზდრა
ხალხს ერთგვაროობა!
მარტოდენ ჭამა და არაფრის სმა.
მოგროვდენ ერთხელ
სოფლისა ბოლოს
და ამოიღეს ამ საგანზე ხმა.
  —ვრცელია, ძმებო
ჩვენი ქვეყანა..
(დაიწყო მათში ყველაზე ბრძენმა.)
  —მაგრამ წეს-რიგი
და სიხარული
არ მოგვანიჭა მამა გამჩენმა.
აწ დაყოვნება
აღარ ივარგებს
უნდა მოვძებნოთ რამ საშვალება,
რო უფერული
ცხოვრება გაჰქრეს,
შეგვიმსუბუქდეს ტანჯვა-წვალება.
ვის არ მოჰბეზრდეს
მუდმივ სიფხიზლე,
და მიწიერის მუნყოფის განცდა?
მოვიხმოდ სოფლად
ღმერთი ბახუსი;
დღესვე მოვიხმოთ არ გვარგებს დაცდა.
  დასთანხმდა ყველა
ბრძენის ნაუბარს
და წარავლინეს მოციქულები.
უთხრეს:—არ განახოთ
ოლიმპის მთიდან
თქვენ უბახუსოთ ჩამოსულები!!
  ავიდენ. უთხრეს:
—დიდო მეუფეო!
მამული ჩვენი უხვია, ვრცელი,
მაგრამ წეს-რიგი
ვერ დავამყარეთ,
გამგე ბატონის გვაკლია ხელი.
მოდი და ჰმართე
ჩვენი სამშობლო
ყველაფრით შემკულ-შენაზავები,
მიიღე მსხვერპლათ
ჩვენი ქონება
და ქვეშევრდომათ ჩვენი თავები.
ჯერ შეყოყმანდა
მაგრამ ბოლო დროს
ბახუსმა ხალხი არ მოიმდურა
და იმავე დღეს,
ერს აღტაცებულს
ოლიმპის მთიდან ჩამოესტუმრა.
წინ გაეგება
მთელი სოფელი,
არაყის სუნით შენამხიები...
ისე მკრთოლვარე
და მობარბაცე,
ვით ჩამავალი მზისა სხივები.
  ღმერთი სათნოა
და გულ მოწყალე;



მორწმუნეთათვის ნუგეშის მცემი.
გამოიცვალა
სოფლის ცხოვრება
განმკურნებელი სიოხის ნაგემი.
ვისაც გულს დარდი
ჩაეთესლება,
ვისთანაც სევდა დაისადგურებს,
მირბის ბახუსთან
და ის ხელ გაშლით
განმკურნებელი წვენით აპკურებს.
გამობრუნებულს
აღარ აწუხებს:
არც კაეშანი, არც გულის დარდი.
სახეზე ალმურ
მონაკიდები
ყვავის, ვითარცა მაისის ვარდი.
აწ მლიქვნელობა
არ იცის რაა,
არ იცის რაა შიში და ზრუნვა,
ფეხზე ჰკიდია
„ფოშტის ფულები“,
და წუთისოფლის უკუღმა ბრუნვა.
ბახუსთან მიაქვს
თითქმის უკლებლივ
დღიური შრომით ამონაგარი...
(გულის სიწმინდით
თაყვანის ცემა,
არსად ნახულა ამის მაგვარი!)
დღენი დღეთ სდევენ,
თვეები თვეებს,
მოსდევს წელიწადს ახალი წელი
და ბახუსისა
თაყვანის ცემამ
შეიპყრო თითქმის მთელი სოფელი.

დღისა და ღამის
განურჩეველათ
მას შევედრიან ხელ-აღპყრობილი...
ვინ ბაგით ბოთლსა
დასწაფებია,
ვის ყანწები აქვს წამომხობილი



და მაშინ, როცა
გლეხისა ქოხმახს
ნიავი არწევს და აღპობს წვიმა,
შვაგულ სოფელში,
ბახუტისათვის
მთელი სასახლე წამოიჭიმა.
ზის და სუქდება
სოფლისა წვენით:
ველარ ეტევა საკუთარ კანში
ერთი კი არა,
ორი ათასი
სხვა სახლი დასდგა პატარა ხანში.
ხალხი კი ხვება
რაც დრო გამოდის.
დაჰკარგა ხორცი, დაჰკარგა ფერი
ტანთ სამოსელი
შემოეძარცვა,
თავზე გადასძვრა სახლისა ჭერი.
კვალად შეგროვდა
მთელი სოფელი
და ამეტყველდა კვლავ იგი ბრძენი:
—მოქალაქენო,
აბა დახედეთ,
რა რიგ გაცრუვდა იმედი ჩვენი.
შვებისა ნაცვლათ
დიდმა ბახუსმა
რა მოგვიტანა? ტანჯვა, წუხილი.
საზარალოა
ჩვენი სოფლისთვის

და მავნებელი ეგ უცხო ხილი.
დროა დავთრგუნოთ
მისი თარეში,
მოისპოს მისი ურიგო ყოფა.
ვიკმაროთ იგი,
რაც თავს გადაგვხდა,
რაც ტანჯვა ვნახეთ კმარა, გვეყოფა.

და დაატყვევეს
ის თავგასული „
ვით ავაზაკი, ვით ქვეყნის მტერი.

—„მას ამნისტია
თუ უშველისო“
(ფიქრობს ამ ამბის ლექსათ დამწერი.)

ეშმაკი

ომი და მისი ისტორია

პირველი ფლოტი.

პირველი ომის შემდეგ, რომლის მსხვერპლი შეიქნა მეოთხედი კაცობრიობა, ქვეყანაზე ხანგრძლივი მშვიდობიანობა ჩამოვარდა. მიზეზი ამისი ცხადია ის იყო, რომ სამშვიდობო კონფერენციას მარტო კაინი დაესწრო, როგორც გამარჯვებული მხარე და თავისი სასარგებლო პირობები მიაღებინა. არც ერთი ისტორიული წყარო არ აღნიშნავს იმ კონტრიბუციის რაოდენობას, რომელიც კაინმა აიღო.

ასე იყო, თუ ისე, ქვეყნად მშვიდობა დამყარდა, ხალხი წელში გაიმართა და მრეწველობა აყვავდა. ის უბანი, რომელშიაც ადამი და ევა ჩაესახლენ უკვე ვიწრო შეიქნა გაზრდილი წარმოებისათვის და მთავრობა იძულებული გახდა გარეშე ბაზარი მოენახა.

აი, აქედან იწყება პირველი კოლონიალური პოლიტიკა დედა-მიწაზე.

ეს საშიში და პასუხსაგები საქმე იკისრა ცნობილმა ადმირალმა ნოემ. „სპარსეთ-რუსეთის“ ხეტყის ქარხნიდან მან შეიძინა საუკეთესო მუხის ფიცრები და ააგო უზარ-მაზარი ზე-დრედნოუტი, რომელსაც უწოდა „კიდობანი“. ის შეიარაღებული იყო 16 სამოც დიუმიანი ზარბაზნით და 7 სანაღმო აპარატით. გემი დატვირთულ იქნა სხვა და სხვა სანოვაგითა და სათესლე ცხოველებით. ამათგან ქვეყნისათვის გამოსადეგს ორ-ორ წყვილს სხამდენ, ურგებს თითოს და მავნეს არც ერთსა. *)

როდესაც ყველაფერი მზათ იყო, ინჟინრებმა გაშალეს შლიუზები და გადმოხეთქილმა წყალმა წარღვნა მთელი მეზობელი ქვეყნები. ნოე თავისი „კიდობნით“ სწრაფათ დანავარდობდა აბობოქრებულ ზღვის ტალღებზე. ბევრ ალაგას შეეცადა ის საჭირო დესანტის გადმოსხმას, მაგრამ ყველგან უკუქცეულ იქნა. პოზიციების დასაზვერად გამოშვებული მტრედები, უკან ბრუნდებოდენ და არავითარი სანუგეშო ამბავი არ მოჰქონდათ. ასე გასტანა თითქმის ორმოცმა დღე? და ნოეს „რკინის ნერვებსა“ უნდა მიეწეროს, თუ მას გული არ გაუტყდა და საქმეზე ხელი არ აიღო. მეორმოცე დღეს გამოჩნდა ცის კიდურზე პატარა უცნობი კუნძული, რომელსაც ესკადრამ დაუყონებლივ ბლოკადა გაუკეთა და ერთ მშვენიერ დილას დესანტიც გადასხა.

კუნძული არარატის წვეროკინა აღმოჩნდა. ნოემ აქ მყისვე აღმართა ნაციონალური დროშა და შეუდგა კოლონიის გამაგრებას.

ახალი კოლონია ძლიერ ლამაზი და მდიდარი ქვეყანა გამოდგა, თუმცა კულტურულად ერთობ დაბალ საფეხურზე მდგომი. ნოემ, როგორც შეეფერება მეტროპოლის წარმომადგენელს, შეადგინა სამი არმია: სიმის, ქამის, იაფეტის ხელმძღვანელობით და გაგზავნა ახლო-მახლო ქვეყნების დასაპყრობათ. თითონ კი შეუდგა ქვეყნის კულტურულათ აყვავებას.

პირველ ყოვლისა ის შეეცადა დაპყრობილი ქვეყნის ეკონომიურათ აღორძინებას და უმთავრესი ყურადღება მიაპყრო მეურნეობის აყვავებას, ხოლო ამ დარგში მევენახეობა-მეღვინეობას. მან გააშენა საუცხოვო ზვრები, მით უმეტეს, რომ იმ დროს ფილოქსერა არ იყო შემოსეული ამ მხარეში. ისტორია მშვენივრათ გადმოგვცემს არარატის კალ-

*) ამიტომაც განცვიფრებულია ქვეყანა, როგორ შეიპარენ კიდობანში: კოწია თუმანიშვილი და პართენ გოთუა

თებზე მეღვინობის აყვავების ამბავს. ამის შესახებ ჩვენი თანამეამულე სუმბათაშვილის მიერ დაწერილ ,,ღალატში'' ბატონი ვასო აბაშიძე მოხდენილათ მღერის ხოლმე შემდეგ საგულისხმიერო სიტყვებს:

,,ნოემ რა ერთხელ იგემა, ჰარი ჰარალე,
ყურძნის წვენის გემოვნება თარი თარალე,
თითონ ნუნუას მიუჯდა ვარხი ვარალე,
წყალი პირუტყვს დაანება თარი თარალე''.

სწორეთ ამით აიხსნება, რომ ლოთობა საშინლათ გავრცელდა ნოეს არმიაში და იმ ზომამდე მიაღწია, რომ არა თუ სხვადა სხვა არმიებს, თითქმის არმიის სხვადა სხვა ნაწილებსაც აღარაფერი ესმოდათ ერთმანეთისა.

მართალია საზოგადოთ მეომარისათვის ენას თითქმის არავი არი მნიშვნელობა არა აქვს, პირიქით, შეიძლება საზარალოც დარჩეს, თუ ტყვეთ წაიყვანეს და წამებას ვერ გაუძლო, მაგრამ ამ გარემოებამ თავისი სამწუხარო შედეგი ციხე-სიმაგრეთა აგების დროს მოიტანა.

ბაბილონის ფორტის აგება, ეს ერთი უდიდესი გეგმა იყო ომის ისტორიაში. იმას უნდა გაემაგრებია მდ. ტიგრისა და ეფრატის შუა მდებარე ქვეყნები და ამით უზრუნველ ეყო ნოეს არმია ინდოელ სპაების თავდასხმისაგან. განზრახული იყო აეგოთ უზარ-მაზარი ციხე, რომლის წვერვალი ცას მიებჯინებოდა და ამგვარათ საუცხოო პუნქტი იქნებოდა, როგორც პროექტორისა და უმავთულო ტელეფონისათვის, აგრეთვე ჰაეროპლანებთან პულემიოტებით საბრძოლველათ. ნოეს მილიტარისტული სულისკვეთება და შორს მჭვრეტელობა დიახ აქედან უნდა შეფასდეს: იმ დროს რასაკვირველია არ იყო არც პროექტორი და არც ჰაეროპლანი, მაგრამ ის მაინც ემზადებოდა.

დაიწყეს შენება ფორტისა. სამასი ათასი კაცი დღიან ღამიანათ მუშაობდა მასზე, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა. როცა კალატოზები აგურს თხოულობდენ, მუშებს წყალი მიჰქონდათ, როცა წყალს, მაშინ კი აგური. აშკარა იყო, უკვე ჩაისახა სხვა და სხვა ენები და აქედან ერებიც. აშკარა იყო, რომ ამ პირობებში ფორტების დასრულება ყოვლად მოუხერხებელი იქნებოდა და აღმაშენებელმა კომისიამ უარი განაცხადა საქმის განგრძობაზე.

ხალხი დაიშალა და დაიწყო ემიგრაცია სხვა და სხვა მხარეებისაკენ.

(შემდეგი იქნება)

მოკრიელი.

პატარა ფელეტონი.

გაკვრით.

ზამთარი მეტად კარგი გვაქვს,
თბილი, მშრალი და მზიანი,
ოთახში ჯდომას-წერისთვის
ვერ იცლის ადამიანი;
მაგრამ რას იზამ, როდესაც
იფეთქებს მუზა სვიანი,
ისედაც უცხო სტუმარი,
ისედაც დანაგვიანი.

—

საწერ სათქმელი ბევრია,
თუმცა პირი მაქვს წყლიანი,
რომ არ ვსთქვა გული ვერ ითმენს
ვიტყვით და... გველის ზიანი...
აგერ, განვლილ ექვსი თვე
უხმო და დუმილიანი,
კრინტი ვერ დავსძარ საქვეყნოთ
დავდივარ გულ-ნაღვლიანი...

—

რა გაეწყობა, ალლახმა
ასეთი ბედი მარგუნა.
კიდევ ვუმადლი მის ძალას,
სული რო შემანარჩუნა!..
და, განვიძრახე ამ ჟამათ
ისევ შეუდგე წერასა,
ბევრი მყავს «გამოსალოცი»
თუ მოვიგონებ ყველასა...
მე უწინარეს ყოვლისა
უნდა ვახსენო „მამები"
მცხოვრებთა »მოჭირისუფლე«
პატივცემულნი გვამები:
მრავლათა სხედან საბჭოში
შრომისგან განაწამები,
ღირსნი არიან მიუძღვნათ,
მათ ხოტბა შენაბავები!..
ცუდი დრო დადგა, მკითხველო,
ეხლა გვჭირია „თავები",
რომ კრიზისს გადაარჩინონ
ვაჭრები, საცოდავები!

—

და მართლაც დიდათ იღვწიან
შრომობენ დღით და ღამითა,
ჩვენს ,,მამებს'' მოცლა არა აქვთ
თუნდა არც ერთი წამითა:
იკრიბებიან, მსჯელობენ
თავსაც ირთობენ ამითა,

ხან და ხან „რეჩებს'' იტყვიან
კილოთი გულ-საკლავითა!..

—

—»ხალხი, ოჰ, ხალხი, ბედ-შავი
შიმშილს განიცდის, მწუხარებს,
გულშივე იკლავს თვის ნაღველს
გმინავს და. . თანაც მდუმარებს.
ვაჭრები ცუდათ იქცევა:
საქონელს ფასებს უმატებს,
საწყალს, შეუძლო მცხოვრებთა
უღვთოთ ყვლეფავს და ატყავებს«!..

—

ხშირათ მოისმენთ ამ სიტყვებს
დარბაზსა საბჭოისასა,
მაგრამ გარეთ-კი... თვით აქმეს
ვერ ნახავთ თქვენ ამისასა,
ან-კი ვის ცხელა საქმისთვის
უცქერენ ოცსა თვისასა,
მოატანს ჟამი ნეტარი
გაიტენიან ქისასა!..

—

ქანქარი ვის მოაგონებს
ცხოვრებას ღატაკისასა
როს მაძღარია ვინ დარდობს
ტანჯვა ვაებას სხვისასა?!.

—

თორემ სიტყვების შადრევანს
სხვაგან რა გაუკლოვია,
მგელსა და ცხვარსა ერთპირად
აბა სად მოუძოვია?!.

ალბურიონი

გურული სცენა.

გამარჯობა თქვენ ყველას: ეშმაკს, თაგუნას, ბლიკვაძეს, კენტს, კუნტს, კოლონას, კუღანას, მარიელას და ღრიანკელას. მეც თქვენთან ერთად თქვენის დღეგრძელობით და კარგათ ყოფნით; დიახ მეც ვიყო და ჩემი პიტნაობა არ მიეშალა ყველა ომას, ვისაც ჩემი მოშლა უნდოდეს კაკალი სულითა და გულით... დასწყევლოს ღმერთმა ჩემი ბუდუაი! რომ მომნათლა რაცხა იმფერი უცხოფერი სახელი დამათქვა, რომ ერთის სოის იგინს, ეე დიახ არ გეტყვი სახელს, რიდგანაც შენითაც ქე მიხთები, პიტინაი ვის ძულს, ხო და მეც ვისაც ვძულვარ შიგ ცხვირში ვებდღვნები ფინდიხივით... ან კი რეიზა მივერიდები ვინმეს გონარას არ მივიღებ თუ? ღმერთმანი კიდეც მომენატრა იგი თქვენი გონორარი. ნეტაი ერთი ახლა მაღირსა ამ გაჭირებულ დროზე... ახლა ციხეში ყოფნას რა ჯობია, მე გეტყვი შენ და არ მეისვენებ, მიადექი და იძინე რჯულზე, ნუ გეშინია ქალი არ გაგეკულუმბუროს კაბა მიყიდეო, ქვეყანაში თვალი გამაჭყერიეო არ გითხრას. მეშენ გეტყვი არ გეიგონო ყოლდღე, ყოველ საათში და ყოველ მინუთში ბაღანების ზღიპინი მშია: მშიაო. ხარ შენდა ციხეში. ქე ხარ მოსვენებული, არც გერმანიის გეშინია და არც თათრის, არც გებენის და არც ბრესლაუს, ციხეში მყოფს უფრო უფრთხილდებიან გარეთ გაშობილზე, არც დაბრავოლცათ გაგზანიან და არც ი!ე. ერთი სიტყვით ახლა ციხეს აფერი არ ჯობს. ოი მისი ჭირი შემეყარას, ცხონდა მისი ამშენებელის სული. ამიზა ჩემო ძამიავ, ეშმაკო, შენი გაცოცხლება და მათრახის მკვრეთით აღდგომა ძალიან გამიხარდა, იმიზა გამიხარდა, რომ რაცხა გული მთქვამს ადრე მომისჯიან გონორას, ისე, რავაც ერთი ამ ექვსი წლის წინათ მაჭამეს სახემწიფო პური იმიზა რომ შენს მათრახში ვპიტნაობდი. ღმერთო შენით ახლაც ადრე გამაწესებენ ძველ სამსახურში და ხომ იცი მაშინ თუ ერთი დღე ათ დღეთ ღირდა, ახლა იქნება ერთი დღეი რეიზა ასათ არ ღირს. ამიზა მეც ვეცდები სხვებს არ ჩამოვრჩე, მართალია ხარი რომ დაბერდება დაკვლა უნდა, მარა, ჯერე ოჯო არც ისე ვარ თლა მოშლილი კონდახში რომ, კვირაში ერთი გზობა ვინცხა, ვინცხა არ ვიშონო და არ ჩავპიტნო.

პიტნა

ხმა სოხუმიდან.

I

ძველი ბაზარი.

სოხუმის ძველი ბაზარი,
ეს ღარიბთ თავ მისაფარი,
საუცხოვოა, მით რომ აქ
ხშირათ თავს იჩენს „პაჟარი",
ალბათ ვისიმე ჯიბეში
დენას დაიწყებს ქანქარი.
საკბილო რამ თუ გაჩნდება,
მისთვის ხომ მგელიც მზათ არი,
ღარიბს კი „ბებიასავით"
რჩება ფერფლი და ნაცარი:
წვისგანც და აშენებისგანც
უჩნდება ,,ჯიბის კატარი''...

II

ახალი ბაზარი.

ᲚᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲑᲐᲖᲐᲠᲨᲘ
ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲩᲐᲦᲔᲑᲣᲚᲐ.
ᲠᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲜᲓᲐᲗ, ᲠᲝᲛ
ᲯᲔᲠ ᲘᲥ ᲐᲠ ᲒᲐᲡᲐᲦᲔᲑᲣᲚᲐ?
ᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲐ ᲖᲝᲛᲘᲡ ᲑᲣᲢᲙᲐ ᲒᲡᲣᲠᲗ,
ᲘᲥ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲐ?
ᲐᲜ ᲕᲘᲜ ᲓᲐᲡᲗᲕᲐᲚᲝᲡ ᲥᲐᲜᲥᲐᲠᲘ,
ᲛᲣᲜᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚᲐ?
ᲐᲜ ᲕᲘᲜ ᲓᲐᲰᲧᲜᲝᲡᲝᲡ ᲰᲐᲔᲠᲘ,
ᲘᲥᲕᲔ ᲠᲝᲛ ᲐᲧᲠᲝᲚᲔᲑᲣᲚᲐ
ᲢᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲐ, ᲭᲐᲝᲑᲘᲡ
ᲢᲚᲝᲠᲝᲞᲝ ᲠᲝᲛ ᲐᲓᲣᲦᲔᲑᲣᲚᲐ,
ᲨᲘᲒ ᲠᲝᲛ ᲦᲝᲠᲘ ᲬᲔᲕᲡ ᲦᲠᲣᲢᲣᲜᲔᲑᲡ,
ᲡᲘᲛᲡᲣᲥᲜᲘᲗ ᲒᲐᲚᲐᲦᲔᲑᲣᲚᲐ?!.

III

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ.

ᲝᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ,
ᲔᲠᲗ ᲣᲠᲗᲘᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲐ.
ᲛᲙᲘᲐᲜ ᲘᲛᲐᲡᲐ, ᲠᲐᲪ ᲣᲙᲕᲔ
ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲡ ᲓᲐᲣᲗᲔᲡᲘᲐ
ᲓᲐ ᲨᲔᲘᲗᲕᲘᲡᲔᲡ ᲠᲐᲦᲐᲪᲐ
ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲐᲠ, ᲞᲠᲐᲡᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲐ.

IV

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ.

ᲖᲦᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲕᲜᲐᲮᲔ ᲛᲔ ᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ
ᲓᲐ ᲗᲣᲛᲪ ᲮᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲕᲐᲠ ᲓᲐᲚᲐᲥᲘ,
ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲡ ᲛᲐᲛᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲠᲘᲙᲔ
ᲛᲔ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲣᲤᲮᲘᲙᲔ,
ᲠᲝᲛ ᲑᲜᲔᲚᲐᲨᲘᲐᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲗᲐᲕᲔᲑᲘ
ᲡᲣᲚ ᲙᲐᲨᲙᲐᲨᲔᲑᲓᲔᲜ ᲕᲘᲗ ᲕᲐᲠᲡᲙᲚᲐᲕᲔᲑᲘ...
ᲒᲐᲠᲜᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲚᲐᲕᲗᲐᲜ ᲠᲐ ᲐᲥᲕ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲘ
ᲘᲛᲐᲡ ᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲠᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲮᲐᲕᲡᲓᲔᲑᲐ?
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲕᲡᲗᲥᲕᲘ: ,,ᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲕᲮᲓᲘ ᲚᲝᲠᲓᲔᲑᲐᲗ.
ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲮᲝᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲚᲝᲓᲔᲑᲐᲗ
ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲡᲬᲝᲚᲘᲐᲜ, ᲣᲤᲔᲠᲔᲜ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐᲡ,
ᲗᲝᲠᲔᲛ ᲗᲐᲕᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲗᲘ ᲤᲣᲜᲓ ᲥᲕᲐᲡ!..
ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲧᲝᲤᲜᲐ, ᲐᲠᲡᲔᲑᲐ
ᲐᲮᲚᲐ ᲛᲙᲓᲠᲘᲡ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲡ ᲛᲘᲔᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲐ.
ᲓᲐᲛᲔᲡ ᲛᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ...
ᲐᲘ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ,,ᲖᲐᲠᲘᲡ'' ᲒᲐᲚᲝᲑᲘᲗ
ᲛᲐᲗ ᲛᲘᲕᲐᲪᲘᲚᲔᲑ ᲙᲣᲑᲝᲡ ᲙᲐᲠᲐᲛᲓᲔ,
,,ᲡᲣᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲡᲐᲪ'' ᲕᲣᲛᲦᲔᲠ ᲡᲐᲓᲐᲛᲓᲔ,
ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲛᲘᲡᲐ ᲒᲣᲚ ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲘᲗ
ᲐᲮᲐᲚ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ ᲛᲘᲕᲔᲒᲔᲑᲔᲑᲘᲗ:
ᲘᲥᲜᲔᲑ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲓᲔᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲛᲐᲛᲔᲑᲘ,
ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲬᲧᲚᲣᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲐᲛᲔᲑᲘ!''.

ᲝᲜᲘᲡᲘᲛᲔ.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲜᲘ.

ᲘᲣᲑᲘᲚᲔ ᲒᲣᲡᲐᲠ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲘᲡ ᲫᲔ ᲤᲣᲢᲣᲠᲘᲫᲘᲡᲐ.

25 ᲛᲐᲠᲢᲘ 1915 ᲬᲚᲘᲡᲐ, ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲭᲝᲠᲘᲡᲣᲑᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲦᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲗᲔᲚᲛᲐ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲛ 55 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲐ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲡ ᲒᲣᲡᲐᲠ ᲤᲣᲢᲣᲠᲘᲫᲔᲡ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲕᲘᲗ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲒᲣᲠᲘᲘᲡᲐ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲡᲔᲐ ᲘᲣᲑᲘᲚᲘᲐᲠᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲘᲗᲕᲐᲚᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲐᲛᲐᲒᲡ. ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ Ბ-ᲜᲘ ᲒᲣᲡᲐᲠ ᲤᲣᲢᲣᲠᲘᲫᲔ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲢᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲐᲠᲔᲕ-ᲓᲐᲠᲔᲣᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲔᲢᲔᲕᲔᲑᲐ.

ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲗᲐᲕ ᲛᲝᲧᲠᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲣᲡᲐᲠᲘᲡ ᲣᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲛᲪᲔᲛᲔᲚᲜᲘ, ᲡᲐᲕᲔᲓᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲘᲠᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲐᲙᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲛᲐ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲛᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲘᲣᲑᲘᲚᲘᲐᲠᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲘᲔᲠᲝ ᲡᲘᲧᲕᲔᲑᲘᲗ:

—„ᲛᲝᲜᲐᲝ ᲦᲕᲗᲘᲡᲐᲝ, ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐᲝ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔᲕ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲡᲐᲝ ᲒᲣᲡᲐᲠ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲘᲡ-ᲫᲔᲕ! ᲛᲔ, ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡᲐ, ᲓᲦᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲐᲛᲔᲗᲣ ᲕᲘᲮᲘᲚᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ. ᲓᲦᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲐ ᲛᲝᲜᲐ ᲗᲕᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲐᲓᲐ ᲛᲐᲡ: „ᲛᲔ ᲛᲝᲛᲪᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲗᲛᲐᲜ ᲢᲐᲚᲐᲜᲢᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲕᲤᲐᲚ ᲛᲘᲬᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲣᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲗ ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲐᲡᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲠᲐᲕᲚᲔ ᲘᲒᲘ“. ᲨᲔᲜ ᲐᲠ ᲔᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲘ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲒᲐᲠᲔᲬᲐᲠᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲯᲣᲚᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐᲡ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲗᲐᲓᲛᲘ. ᲨᲔᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ „ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲕᲘᲜᲘᲔᲠ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐ ᲛᲙᲕᲓᲐᲠ ᲐᲠᲡ“ ᲓᲐ ᲠᲐᲗᲐ ᲜᲐᲗᲔᲚ-ᲒᲔᲧᲝ ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲡᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲗᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲐᲗᲘᲗᲐᲝᲓ ᲒᲕᲔᲪᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲘᲢᲐᲜᲔ ᲐᲜᲐᲤᲝᲠᲔᲑᲘ. ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲘ

ფეხი რა დედა ქალაქში, პირველათ ემბორე ხელზე ღვთის მსახურს, შებრძანდი ეკლესიაში, ჩააჩაღებინე იგი ათი შაურის სანთლებითა და ყველა ჩვენგანი დაასაჩუქრე; ეს შეუძლია მხოლოდ ჭეშმარიტ ქრისტიანს და ჩვენც როგორც ქრისტეს მოძღვრების დარაჯნი, გიძღვნით რა წმინდა გიორგის ხატს, ვავედრებთ წმინდა გიორგის, ის იყოს თქვენი წინამძღვარი და ღმერთმა განაგრძოს ცხოვრება თქვენი ამიერ და უკუნისამდე."

ეკლესიიდან იუბილიარს წარუძღვენ წინ სეფე ქალნი ყვავილებით და მიიყვანეს ქალაქის შეუღობავ ბაღში. აქ მაღლობ ადგილას დასვეს იგი და დაიწყო ცერემონიალი. ამ სამოქალაქო ადგილას პირველად წარუდგა იუბილიარს წინამძღოლი ბრწყინვალე წოდებისა და მოახსენა:

— ელვარებავ და საქევ ჩვენი წოდებისაო, ბატონო გუსარ. ბედნიერი ვარ მე დღეს, რადგანაც წილათ მხვდა თავად-აზნაურობის სახელით მოლოცვა თქვენი მოღვაწეობის 55 წლის იუბილეისა. მადლიერია თქვენი მთელი ბრწყინვალე წოდება, რადგანაც ახსოვს მრავალი ამაგი, რომელთაგან გავიხსენოთ თუ გინდ ეს ერთი. იმ დროს, როცა ჩვენს მიწა-წყალს, ოთხ-ხუთჯერ გაყიდულს ურცხვათ დაეპატრონენ გლეხები და არ გვაძლევდენ ღალას, თქვენი წყალობით ავიღეთ არამც თუ ღალა, არამედ მიწის ნაცდურიც და ბევრმა გაკაფული ტყის ფასიც, თუმცა მას სულაც არა ჰქონია ტყე. შენის მეოხებით ებოძა ბევრ მოძიებელს აზნაურობა. დაუბრუნდა ღირსება ბევრ ღირსება აყრილს კაცის კვლისა, და ცხენის ქურდობისათვის. დიდია თქვენი ჩვენზე მამობრივი ზრუნვა და ამიტომაც მადლიერი თავად-აზნაურობა გიძღვნის ვერცხლით შეჭედილ ყანწს და ამ ყანწით სვამს თქვენს სადღეგრძელოს.“

მქუხარე ტაშმა შეაზანზარა ჰაერი.

მერიქიფე აცხადებს: ილაპარაკებს ქალაქის თავიო.

— ჩვენი ქალაქის საპატიო მოქალაქევ და ჩვენი ქალაქის გამაპატიოსნე ელო გუსარ! ბედნიერი ვარ მე დღეს, მაგრამ განა მე შემწევს იმისი ნიჭი რომ შევძლო ჩემი ბედნიერების გადმოცემა. მე ეგ შემიძლია, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, გაზაფხულის მშვენებას უგალობს ბულბული, ამკობს შაშვი, ჩხართვი, გაიდონა და ამავე დროს ჭრიჭინებს ჭრიჭინაი და თავის ჭრიჭინში ისიც ქებათა-ქებას უძღვნის დიდებულ გაზაფხულს. თქვენც დიდებულო ბატონო გუსარ, თქვენც ყველასათვის ფასდაუდებელი ბრძანდებით, მაგრამ ყველაზე მეტი ამაგი რწმუნებულ ჩემდამი ქალაქზე მიგიძღვის. რას წარმოადგენდა ჩვენი ქალაქი ამ 15 წლის წინათ? არაფერს. სახლები და დუქნები ძველი, თათრული პლანის, ქუჩები დაუპლანავი, ქუჩაში არსად არ იდგა გოროდოვოი, არ იყო პოსტი, არც გვყავდა საკუთარი პრისტავი. თქვენმა ნიჭმა ყოველივე ეს გაითვალისწინა. გადიწვა, გადაიბუგა ქალაქი და, აი ხომ ხედავთ ახლა როგორი ახალი სახლები და დუქან-მაღაზიები კეთდება, როგორ ემსგავსება ეს ერთდროის აზიური ქალაქი ევროპიულს? თუ მომავალშიაც ხელს არ აგვაღებთ თქვენი წყალობით იმედი ვეღირსებით დვორნიკების ინსტიტუტსაც...

მაგრამ მარტო ამით არ დასრულებულა თქვენი ჩვენდამი პატივისცემა. ბევრი ფიქრობდა ამ ჩვენს ქალაქში აეშენებია საავათმყოფო, მოეწვიათ ექიმები, გაემართათ რაღაც ნახველისა და პატივი თქვენთან, კიდევ ვარესის საშინჯი ლაბორატორია, გაეხსნათ ქალაქის აფთიაქი და სხვ. მაგრამ თქვენ, გუსარ თავის დროზე მოიღეთ მოწყალება და გვიხსენით განსაცდელისაგან. გაგიგონიათ, ბ-ნებო, ქალაქში საავათყოფო ან რაღაც ლაბარატორია თუ ბაქტერიოლოგია? ქალაქში რომ საავათყოფო გაგვეხსნა, ავათყოფებიდან ხომ კარგათყოფებიც ავათ გახდებოდენ. მე მესმის საავათყოფო გააკეთო აი თუ გინდა სომლიაზე ან საყორნიაზე, თვარა ყურის ძირში მაგის გახსნას სულელის მეტი ვინ იფიქრებდა. ან კიდევ აფთიაქი. რათ გვინდოდა ჩვენ აფთიაქი, აფერათ; მაგ. აფთიაქი ჩვენ ვალს დაგვადებდა და ერთი-ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოთ გადაგვკიდებდა. ჩვენ გვყავს 15 ხმოსანი; გვყავს 5 კანტანტი. აფთიაქი რომ გვქონოდა ყველა ოცივე მოვინდომებდით ჩვენ ჩვენი მოყვრის შვილის ჩაყენებას, ზოგის ნათესავი პროვიზორია, ზოგის პომოშნიკი ზოგის უჩენიკი, ახლა თითო პარუსკაი ციცაი ბაღის კლასიანი ყველაყას ყავს და ყველაყაი კასირშათ უნდა დაგვეყენებია. შევჭამდით ბატონო ერთმანეთს. ყოველივე ამას თქვენ ადრე მიხვდით და რომ აფთიაქის გახსნისაგან დაგვიხსენი ამიზა დიდი მადლობელი ვართ;

განა მარტო ამით დაავალიანე თქვენ ჩვენი ქალაქი? არა, ბატონო გუსარ, არა. ჩვენ, ხმოსნებს, ბატონო საშინლად ჯვე დუროდა პოლიცია. სულ მაღჩიკას გვიძახოდა, თქვენ ჩაერიეთ ჩვენს საქმეში, იქონიეთ გავლენა პოლიციაზე, შეაბრალეთ ჩვენი თავი და ახლა ისე კარგათ ვართ, რომ უკეთესი არ შეიძლება. (მართლა ჭრიჭინა ყოფილა! ვაისმა სადღაც კუთხეში) თქვენ მიგვახვედრინე, რომ ჩვენ უიმათოთ არ ვარგივართ თქვენ შეგვარიგე იმ გაბედულ უფროსს, რომელიც ჩვენს ენას ძაღლის ენას უძახოდა და ყველა გურულს ლეკურის ერთი შემოქნევით გვიპირებდა თავის წაჭრას. დიახ შეგვარიგე ამისთანა დიდ კაცს და როცა ის აქედან გადაყავდათ, თქვენ მაშინაც შეგვიბრალე და ჩვენ არ მოგვაშორე, ისევ აქ დაატოვებინე. რამდენი ერთი უნდა ვთქვა“. ვინ დათვალოს ცაში ქვიშა და ან ზღვაში ვარსკვლავეო« ტყვილათ ხომ არ უთქვამს შოთა რუსთაველს. უზომოთ თქვენი პატივისცემელი ქალაქის მცხოვრებნი გიძღვნიან ძველებურ მოჭედილს ფიშტოს და გისურვებენ კიდევ დიდხანს იცოცხლო ჩვენი ქალაქის საბედნიეროთ...

(შემდეგი იქნება)

შრაპნელი

პირველ მარტიდან

ქალაქ თბილისში

გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული გამოცემა

ახალი მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა,

ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია და გ. მ. მახარაძე.

თანამშრომლები — ალბურიონი, ბლიკვაძე, ეშვი, ეშმაკი, თაგუნა, კენტი, კვინწარი, კოლო, მორიელი, ნაბუქოდონოსორი, ონისიძე, პიტნა, ფონ-ტეფო, ქიქოძე შ., შმერლინგი, ჩიორა, ჭიაურელი, ხუმარა და სხვ.

ჟურნალის ფასი – 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ 1 თვით 50 კ.

„ახალ მათრახში" დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

ჟურნალის მახლობელ ნომრებში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის საუკეთესო ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ. *)

Контора „Гантіади".
Почтов. ящ. № 21.

(ახალი მათრახისათვის).

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყეს მოვაგონებთ, რომ უმრაკო წერილს რედაქცია არ დაიხსნის.

ორი კრიტიკოსი



ნიკორა ზაქაძე (ქშინავს.) აი მგოსანი! აი პოეზია!

დათიკო კასრაძე: უნდა გულახდილათ აღვიარო, რომ ბ-ნ ნიკორა ზაქაძის აზრს **სავსებით** არ ვიზიარებ. უმჯობესია ნაძალადევ მგოსნობაზე აიღოს ხელი და დარჩეს ცოცხალი სიტყვის რუსთაველად, თანამედროვე ჟყონდიდელათ და ოქროპირად.

რედაქტორ-გამომცემელი—**ნ. დ. ფლენტისა.**

Печатать разр. воен. цензурой. Типогр. Т—ва „Прогрессъ", Лорисъ-Меликовск. № 1.